XII სამეცნიერო–პრაქტიკული სემინარი: „თანამედროვე არქიტექტურა–პრობლემები და გამოწვევები“

2019 წლის 20 ნოემბერს, 11 და 18 დეკემბერს სტუ–ს არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტზე 405 ც აუდიტორიაში 16 საათზე გაიმართა XII სამეცნიერო–პრაქტიკული სემინარის მე – 1, 2 და 3 შეხვედრები: „თანამედროვე არქიტექტურა – პრობლემები და გამოწვევები“. სემინარში მონაწილეობა მიიღეს სამაგისტრო პროგრამა „არქიტექტურა“–ის პირველი კურსის მაგისტრანტებმა.

სემინარეზე განხილული იყო შემდეგი თემები:

ნატალია მეზვრიშვილი, თემა:“ ქ. რუსთავის განვიტერების პერსპექტივები“; ხელმძღვანელი: ბელა თინიკაშვილი

ელსან გამბაროვ, თემა: „ ქ. თბილისის ძველი ნაწილის რეკონსტრუქციის ანალიზის მცდელობა“; ხელმძღვანელი: ბელა თინიკაშვილი

დეა ხიზანიშვილი; თემა: „დაუფარებელი და ამავე დროს ფასდაუდებელი არქიტექტურა“; ხელმძღ. ბელა თინიკაშვილი;

მაგისტრანტი შეეხო 1920-იანი წლების არქიტექტურას და გაანალიზა ობიექტები: ზარია ვასტოკა, ზაჰესის ელექტრო სადგური, იმელი, ჭადრაკის სასახლე. განიხილა მათი ისტორია და დღევანდელობა; წარმოადგინა რუქა, რომელზეც დატანილია ისტორიული მემკვიდრეობის ძეგლები და შექმნა ტურისტებისთვის მაშრუტი;

გიორგი ქემოკლიძე, თემა: დაკარგული არქიტექტურა „ლაგუნა ვერე“; ხელმზღვანელი ბელა ტინიკაშვილი; მაგისტრანტმა ისაუბრე იმ პრობლემებზე რაც

ხდება ლაგუნა ვერეზე, აღნიშნა მისი ღირებულება და წარმოადგინა მისი განვიტარების პერსპექტივები;

ელენე რუხაძე, თემა: „ქალაქი და მტკვარი“; ხელმძღვანელი ბელა თინიკაშვილი; ისუბრა მდინარე მთკვარზე და მისის ნაპარიროების განაშენიანების პრობლემებზე, განვიტარების პერსპექტივებზე;

გელა მიქავა, თემა: „სოციალური დაკვეთა“; ხელმძღვანელი მედეა მელქაძე, მაგისტრანტმა ისაუბრა იმ ობიეტებზე, რომელიც აიგო სოციალური დაკვეთით და მათ გავლენაზე ქალაქის სივრცულ განვითარებაზე;

მერაბ გიგინეიშვილი, თემა: „პირველი რესპუბლიკის მოედანი - გენეზისი და განვიტარება“; ხელმზრვანელი: ნინო იმნაძე; მაგისტრანტმა ისაუბრა პირველი რესპუბლიკის მოედანზე, გაანალიზა იგი დროში და სივრცეში, ისაუბრა მის სივრცულ სახეზე და დასახა განვიტარების პერპექტივები. მაგისტრანტმა წარმოადგინა პროექტი მომავალი განვითარების.

აკაკი სხვიტარიძე, თემა: „ხიდი“, როგორც კომუნიკაცია და მისი როლი არქიტექტურულ ფორმადწარმოქმნაში“, ხელმძღვანელი ნინო იმნაძე;

მაგისტრანტმა გაანალიზა ორი საცხოვრებელი რაიონის მაგალითზე: ნუცუბიძის პლატო და გლდანი. განიხილა ხიდები მათი როლი არქიტექტურულ ფორმადწარმოქმნაში და განვითარების პერსპექტივები წარმოადგინა პროექტის სახით.

დავით თიგიშვილი თემა: „წყალტუბოს წარსული და მომავალი“; ხელმძღ: დავით ბოსტანაშვილი; მაგისტრანტმა ისაუბრა წყალტუბის მნიშვნელობაზე და განიხილა მისი არქიტექტურული თავისებურებები;

გიორგი ჯავახაძე თემა: „ეპოქების კვალი ქუთაისზე“ ხელმძღ. დავით ბოსტანაშვილი; ძირიტადათ თემაში მაგისტრანტი შეეხო ქუთაისი დავით აღმაშენებლის მოედნის ფორმირების სივრცულ-მოცულობით თავისებურებებს და მის განვითარებას დროში და სივრცეში.

მარინე იონიდისი თემა: „ეკოქალაქი“; ხელმძღ. დავით ბოსტანაშვილი

თამთა ანდღულაძე თემა: „ორგანული არქიტექტურა“; ხელმძღ. ნინო იმნაძე; მაგისტრანტმა გაანალიზა ორგანული არქიტექტურის ელოვუციური განვითარება რაიტიდან დღემდე.